



BINIMETINIB - MEKTOVI®

რა არის MEKTOVI

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ბინიმეტინიბი	ყვითელიდან მუქ ყვითელ ფერამდე, გასაყოფი ხაზის გარეშე, აპკით შემოგარსული ტაბლეტები, ერთ მხარეს გრავირებული ლოგოთი „A“, ხოლო მეორე მხარეს „15“. 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 15 მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაღეჭვის, დაქუცმაცების, გახსნის ან გატეხვის გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს კვებისას ან კვების გარეთ.

მიღების გამოტოვების შემთხვევაში, მიღება შესაძლებელია 6 საათის განმავლობაში. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა და დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ	  									
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	...	 დ28	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციას) და კლინიკურ მეთვალყურეობას (გულის ფუნქცია, არტერიული წნევის მონიტორინგი, დერმატოლოგიური მონიტორინგი, ოფთალმოლოგიური მონიტორინგი).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი, ჩასახვის სანინაალმდეგო აბები და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება



MEKTOVI®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას მოხმარებას MEKTOVI®-თან.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: ნეიტროფილების (ნეიტროპენია), ჰემოგლობინის (ანემია), თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) შემცირება, ელექტროლიტების შემცირება, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის ანალიზების დარღვევა. საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, დიარეა, კუჭის შეკრულობა, მადის დაკარგვა, მუცლის ტკივილი კანის დარღვევები: კანის სიმშრალე, კანის გამონაყარი, სინითლე, ქავილი გულის ფუნქციის დარღვევა: მომატებული არტერიული წნევა, სისხლდენის რისკი, გულისცემის გახშირება, ვენური თრომბოზი. თვალის პრობლემები: მხედველობის პრობლემები სახსრების და/ან კუნთების ტკივილი: კრუნჩხვები, კუნთების მტკივნეულობა სხვა: პერიფერიული ნეიროპათია, დაღლილობა, კიდურების შეშუპება, თავის ტკივილი, უძილობა, თავბრუსხვევა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა პირის ღრუს ტკივილი ან ნყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას 24 საათის განმავლობაში დაღვევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. გულის დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები გონების დაკარგვა, სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი სისხლდენის მიმანიშნებელი სიმპტომები სისხლი განავალში, სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია გრიპის, კოვიდისა და პნევმოკოკის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
კანის მოვლა	უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.



წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს, მადის დაკარგვის ან შეშუპების შემთხვევაში.
თვალეები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას. მოერიდეთ დაბალი განათების პირობებში მართვას
კუნთების / სახსრების ტკივილი	გახსოვდეთ, წყალის დაღვრა ვარჯიშის დაწყებამდე, ვარჯიშის დროს და ვარჯიშის შემდეგ. დაკავდით ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობით, წინასწარ გახურდით. მოერიდეთ განმეორებით მოძრაობებს და მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.
სისხლდენა	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას. აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანთიაგრეგანტულ პრეპარატებს: საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > <i>ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში</i>
თმის ცვენა ან თმის ტექსტურის ცვლილება	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯავრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო გაზომვით. შეზღუდეთ მარილი.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.

